# <u>აკადემიური რეგისტრაციის (საგნების არჩევის) წესი:</u>

1. ***<u>სტუდენტმა</u>*** უნდა ამოიწეროს ძირითადი ასარჩევი საგნები სემესტრების მიხედვით;
2. ***<u>სტუდენტი</u>*** მაღლივი კორპუსის მეოთხე სართულზე გაკრული ცხრილის მიხედვით წინასწარ ადგენს ინდივიდუალურ ცხრილს, სადაც ირჩევს ძირითადი საგნების მიხედვით მისთვის სასურველი ლექციისა და სემინარის ლექტორს პირობითად არჩეული ჯგუფის მითითებით (აუცილებელია ინდივიდუალური ცხრილის დაკვირვებით არჩევა, რომ დროში არ ემთხვეოდეს არჩეული საგნები ერთმანეთს);
3. ***<u>სტუდენტი</u>*** შედის მისამართზე **sms.tsu.ge**-ზე, გამოჩნდება

| |
|---|
| დეკანატი |
| სტუდენტი |

*4.* ირჩევს ჩანართს ***<u>სტუდენტი,</u>*** შეაქვს მონაცემები, ხვდება სტუდენტის ბარათში. ამოწერილი ინდივიდუალური ცხრილის მიხედვით ახდენს საგნების დაფიქსირებას საიტზე.

***<u>საიტზე საგნის დაფიქსირება:</u>***

შედიხართ ჩანართში ***<u>ინდივიდუალური ცხრილი,</u>*** გაიხსნება გვერდი, სადაც ჩამოშლით სიას, აირჩევთ სიიდან ***<u>ყველა</u>*** და აწკაპუნებთ ამ სიის ქვეშ ღილაკზე ***<u>ძიება.</u>*** შემდეგ ჩამოშლით საგნების გასწვრივ სიას, სადაც გამოჩნდება საგნების ჩამონათვალი.



ირჩევთ ერთ–ერთს, მაგალითად ***ბუღალტერიის საფუძვლები*** და აწკაპუნებთ ღილაკზე ***დამატება,*** გამოდის ფანჯარა, სადაც ჩანს **ყველა პედაგოგი,** იმისათვის, რომ აირჩიოთ აქედან ერთ–ერთი, აწკაპუნებთ სიაზე და ირჩევთ ***ლექციის პედაგოგს,*** ამის შემდეგ გამოჩნდება ამ პედაგოგზე მიბმული ***ჯგუფის ნომრები*** თავისი ***სემინარის ლექტორებით.*** რომ აირჩიოთ ***სემინარის პედაგოგი*** , ირჩევთ მის შესაბამის ***ჯგუფის ნომერს,*** რომელზეც მიბმულია სემინარის პედაგოგები და ბოლოს აწკაპუნებთ ღილაკზე ***შენახვა***.




| პედაგოგი | ფაკ.სტუდ. მაქს.რაოდ | ფაკ.სტუდ. რაოდ | სხვა ფაკ.სტუდ. მაქს.რაოდ | სხვა ფაკ. სტუდ.რაოდ | საგ.არჩევად. ფაკ.სტუდ | საგ.არჩევად. სხვა ფაკ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სრესელი ნანა | 180 | 1 | 0 | 0 | არჩევადია | არ არის არჩევადი |
| მაისურაძე მარინა | 360 | 2 | 0 | 0 | არჩევადია | არ არის არჩევადი |
| ხორავა ანჟელი | 90 | 1 | 0 | 0 | არჩევადია | არ არის არჩევადი |
| ხარაბაძე ელენე | 90 | 0 | 0 | 0 | არჩევადია | არ არის არჩევადი |
| ვარდოსანიძე თეიმურაზ | 90 | 1 | 0 | 0 | არჩევადია | არ არის არჩევადი |

| ჯგუფის პედაგოგი | ჯგუფი № | FakMaxStud | FakStudRaod | NonFakMaxStud | NonFakStudRaod | FakArchevadia | NonFakArchevadia |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩავლეიშვილი ნინო | 154 | 30 | 0 | 0 | 0 | არჩევადია | არ არის არჩევადი |
| ფარცვანია მალხაზ | 155 | 30 | 1 | 0 | 0 | არჩევადია | არ არის არჩევადი |
| ფარცვანია მალხაზ | 156 | 30 | 0 | 0 | 0 | არჩევადია | არ არის არჩევადი |
| მამარდაშვილი ნინო | 160 | 30 | 0 | 0 | 0 | არჩევადია | არ არის არჩევადი |
| მამარდაშვილი ნინო | 161 | 30 | 0 | 0 | 0 | არჩევადია | არ არის არჩევადი |
| სრესელი ნანა | 162 | 30 | 0 | 0 | 0 | არჩევადია | არ არის არჩევადი |

**შენიშვნა:** მობილობის წესით გადმოსული სტუდენტები საგნებს ირჩევენ ტავიანთი სასწავლო ბარათის შემოწმების შემდეგ, რომ გამოირიცხოს ერთი და იგივე საგნის ორჯერ სწავლა. საჭიროების შემთხვევაში მათ შეიძლება კონსულტაცია მიიღონ ტუტორებთან 410 აუდიტორია.